ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 12

"25" იანვარი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის" (ს/კ: 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის" (ს/კ 404917131) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის №18.1139.1508 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ-ში მდებარე 64 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.15.007.145) 40 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „დი ენდ ბი საქართველოსთვის" (ს/კ: 404917131) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე